

თამარ ცოფურაშვილი

### კირილე ალექსანდრიელის „ცხოვრებები“ ქართულ ხელნაწერებში

კირილე ალექსანდრიელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა საეკლესიო ისტორიაში. მან მეტად საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო, რომელმაც ალექსანდრიის პატრიარქის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაპირისპირება კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნესტორთან, რაც ეფესოს III მსოფლიო კრებით დამთავრდა.

კირილე ალექსანდრიელის ბიოგრაფია ყოველთვის იყო ინტერესის საგანი. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართველები წარმოადგენენ. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები კირილეს შესახებ არაერთ ხელნაწერშია დაცული, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარია“. მასში ალექსანდრიის პატრიარქის გარდაცვალების დღეს, 27 ივნისს (მისი მოხსენიების დღე რამდენიმეა: 18 იანვარი, 7, 9, 27, 28 ივნისი) ვკითხულობთ:

„ესე დიდი და ღმერთშემოსილი კურილე აღმოსცენდა ქალაქისა ალექსანდრიისაგან, ხოლო იყო ძმისწული თეოფილე პატრიარქისაჲ, რომელი შემდგომად აღსრულებისა მისისა იქმნა მთავარეპისკოპოს ალექსანდრიისა, რამეთუ ყოვლითავე სათნოებითა საქმიითა და ხედვითითა შეამკო თავი თჳსი. და კაცთა მიერ მისანთომელსა სისრულესა მისწუთად და სივრცითა გულისაჲთა და სწავლისა მოსწრაფებითა ყოველთა ღმრთივსულიერთა წიგნთა გამომთქუმელ იქმნა. და რაოდენი იყო მათ შორის დაფარული და ღრმა, აღწერით ყოველი განაცხადა და თარგმნა და საღმრთოთა შურიტა და სარწმუნოებისა მკურვალეებითა უშჯულო. ნესტორ დაამკჳა, რამეთუ ეფესოსსა წმიდისა კრებისა ესე იყო მთავარ და წინამძღუარჴ და წმიდად ღმრთისმშობელი ჴმამაღლაჲ დაჲ დაჲ და შესხმა. შუენიერი დედასა უფლისასა ამან მიუძღუნა, რომელ არს უმეტეს არსი და დედად ღმრთისა, ვითარცა არს ჴემმარიტად, უწოდა და მგმობართა მისთა სიტყუანი მეტყუელითურთ მათით შერქუენებითა განკადნა ბნელად გარესკნელად. და შემდგომად დიდთა ღუანლთა და ქრისტესთჳს ბრძოლათა და ძლევათა მისდა ხუედრებულნი იგი კრებულნი და სამწყსო. კეთილად დაამწყსო და უფლისა მიმართ მიიცვალა“. [3, 140]

როგორც მოსალოდნელი იყო, კირილეს ბიოგრაფიაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული მისი ბრძოლა ნესტორის წინააღმდეგ. საინტერესოა, აგრეთვე, „შესხმაჲ შუენიერი“, რომელიც ალექსანდრიის პატრიარქმა მარიაჲს მიუძღვნა. ბიოგრაფიის ავტორი ალბათ კირილეს სახელგანთქმულ XI ჴომილიას უნდა გულისხმობდეს, რაზეც მიგვანიშნებს ქართულ ენაზე შემონახული კირილეს

ერთი ვრცელი ბიოგრაფიაც. იგი დაცულია S კოლექციაში 417-ე ნომრით. [5, 517-521] ხელნაწერი XII საუკუნით თარიღდება და წარმოადგენს ივნისის თვეში საკითხავ წმიდათა მეტაფრასულ „ცხოვრებებს“ (სულ 33). იგი ქალაღდზეა შესრულებული და გადაწერილი უნდა იყოს ნაკლები დედნიდან. საკითხავების თვე და რიცხვი აღნიშნულია სინგურით ზემო კიდებზე.

ჩვენთვის საინტერესო ტექსტი რიგით მერვეა და ეწოდება: თუესა ივნისსა თ, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდათა შორისისა მამისა ჩუენისა კვრილე მთავარპისკოპოსისა ალექსანდრიელისა.“ ავტორი და მთარგმნელი მითითებული არ არის.

ალექსანდრიის პატრიარქის ბიოგრაფია პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავეყოთ – უშუალოდ კირილეს „ცხოვრება“ და XI ჰომილიის მოზრდილი ექსცერპტი, რომელიც ამ „ცხოვრებაში“ ჩართული.

გთავაზობთ კირილეს ბიოგრაფიის პირველ ნაწილს:

(36v) „ესე უკუშ ყოვლადქებული მამაა ჩუენი და დიდი ღმრთისა მღდელთმთავარი კვრილე აღმომორჩა ალექსანდიელთა დიდ ქალაქით მუნ შობილიცა და აღზრდილი ძმისწულად მყოფი თეოფილე პაპასა და ეკლესიასა შინა ღმრთისასა კეთილად აღზრდილი ვითარ მქონებული ნათესავისა საჩინოობისაჲ. გარნა წარმართებათა თქსთა მიერ უფროს ვიდრე წინმშობელთასა ბრწყინვალებობა, რამეთუ მათ მიერ მისსა სიტყუასაცა და ცხოვრებასა ამკობდა. ესრეთ უკუშ მართლცნობაობა. წარჰმართა და აქუნდეს თანა მემწყობრედ მისნიცა დანი სათნოებანი. ხოლო წურთილობდა ყოვლითა სწავლულებითა ელლინებრითა და რომაელებრითა და საღმრთოთა სჯულთა შინა ზრდილობდა, რომლისათჳს შემდგომად დაძინებისა თეოფილე პაპასსა ზოგადითა ბჭობითა წინმჯდომელობაჲ ალექსანდრიელთა წმიდისა ეკლესიისაჲ მითუჲალა, რომელიცა რჩეულად მკურნალად და უბოროტოდ კაცთ-მოყუარემან ღმერთმან კათოლიკე ეკლესიასა შინა გამოაჩინა, რამეთუ კეთილისა და სულიერისა მოძღურებისა მკუმეველმან ცხოვრად შეცვალან მგელნი, ხოლო აღსავსემან სიბრძნითა და მეცნიერებითა ღმრთისაჲთა კეთილმსახურებისა რწმენანი მკუდროანსა შინა დაჰწინერგნა ღმრთივბრძნად მთარგმანებულმან ყოვლისა წერილის ძუშლისა და ახლისა აღთქუმისაგან. ხოლო ესრეთ კეთილმსახურად და ღმრთისმოყუარებით მწყსიდა რა. ქრისტეს ცხოვართა ნეტარი კვრილე, ისწავა, ვითარმედ ნესტორის ბუგრითა განხრწნილობს ვჴზანტია. და თანმოქმედად მკუმეველმან ყოვლად უბინოდა და ზესთა წმიდისა ქალწულისა ღმრთისმშობელისა მარიამისმან განიშეუდრა ძუნად საარებულისა ჰურიაცნობისა ნესტორისა ორთა ძეთა შემომყვანებელისა და ღმრთისმშობლობისა კმისა უვარმქმნელისა უბადრუკისა, რამეთუ ამან ნესტორ ინყო რა. გესლიანთა და სიკუდილმემოსილთა სიტყუათა მისთა მბოყინელობად პირველ მონაზონთა ვიეთმე კონსტანტინეპოლისა შინათა რყუნადა შეწყნარებად ეგევთარისა მისისა ღმრთისმბრძოლისა მოძღურებისა დამნიშნველი მისი ნანერთაცა მიერ. ხოლო მათ მსმენელთა

და კეთილმსახურებით უცხოყოფად მგონებელთა ბილწისა და შეგინებულისა ენისა მისისა აღმონათხევეთასა წმიდისა ამის და დიდისა მნათობისა კურილეს მიმართ აღექსანდრედ აღავლინნეს მაჩუშნებელთა მისდა ზრახებულთასა. ხოლო მან მსმენელმან მიმავლინებელთა უკუშ ნაწერთა და სწავლათა მიერ ამცნო ეგვიპთარით წვალეებით განყენებად. უკუნმაქცეველმან ყოვლისავე უღმრთოდასა და ბოროტისა მისისა მოძღურებისამან. ხოლო ამათმან მცნობელმან ბოროტმსახურმან ნესტორ მიმავლინებელნი უკუშ მონაზონნი კრულებასა ქუშზე ყვნა, ხოლო ნეტარსა კურილეს (37V) მიუწერა შემრისხველმან მისმან. ხოლო ნამდვლ ღირსმან აჰან და დიდმან კაცმან კურილე საღმრთოთა გონიერებითა შემკულმან სიტყუანი შერჩულვილნი და მოძღურებანი გამომაჩინებელნი საღმრთოთა წერილთაგან მიუვლინნა მევედრებელმან მისმან არა ეგრეთ მცნობელობად. გარნა თუთ უცნობომან და ძუნმან ნესტორ არ ხოლო არა მიითუალა შერჩულვად, არამედ უფროსს უდარესად ქცეულმან წმიდასა კურილესცა ავინა და საჩინოდ ყოველი უსახურებად მისი, რომლისათჳს ნაწერნი მიევილინნეს, გამოკმო, ვინაჲ ყოველადაქეზულმან აჰან და დიდმან მღვდელთმთავარმან ქრისტესმან განშზადა მეფეჲ ხოლო იყო იგი თეოდოსი ახალი, რომელი მაშინ მეფობდა, კრებისა მსოფლიოდასა ქმნად ნესტორის ძლით და მიუწერა წმიდათა შორისსა კელესტინონსცა რომისა პაპასა, რომელმანცა აწუა და კრება. შეიყარა რაჲ ეფესოს შინა, ნესტორ წინააღმდეგომილი, ვითარმედ არა განვისჯები მის მიერ, არა იპოებოდა. ვიდრეღა მრავალთა ჭირთა კლრილე ქუშზე ეგო, რამეთუ მრავალნი შეენეოდეს ნესტორს პალატისა პატივისმქონთაგანნი. არა ხოლო ესე, არამედ ეპისკოპნიცა ვინმე, რამეთუ ყოველივე ოქროთა ერთად შეკრნა და მწედ მისა მბრძოლობდას. ხოლო წმიდამან კრებამან ბრძანა საშუალმოლეზა და აღმოკითხვად მისთა მოძღურებათაჲ და აღმოკითხნეს წინაშე ყოველთასა და ესმნეს რაჲ ორასოცდაათთა მამათა, მიუმცნეს მას უკუეთუ ჭეშმარიტებით მცნობელობსა. ხოლო მან ნაცვალ უმცნო ეგრეთ ცნობად და ეგრეთ რწმუნებაჲ და არა ოდეს ეგვიპთარით თნებით შეცვალებად. მაშინ დიდად ევედრნეს და შეჭრჩულნეს, რაჲთა მოიქცეს იგი ეგვიპთარით წვალეებით და საცთურით და ვერ არწმუნეს მიერთგან უკუშ ვერას მოქმედებად შემძლებელთა მისამი განმართებისა მიმართ, განკუჭეთეს და განაჩუშნეს იგი, ვითარცა მრყუნელისა და უსჯულოდასა და საძაგელისა წვალეებისა ეკლესიასა შინა ახალმოქმედი“.

ამის შემდეგ ავტორი იძლევა XI ჰომილიის სანციისი პასაჟების, ასე ვთქვათ, მოკლე შინაარსს, რასაც შემდგომ ჰომილიის სიტყავასიტყვითი თარგმანი მოსდევს. ჰომილიის დასრულების შემდგომ ავტორი კვლავ აგრძელებს ბიოგრაფიის თხრობას:

„(40V) ესენი რაჲ ითქუნეს ნეტარისა კურილეს მიერ და სხუანი უმრავლესნი, დასასრული მიიღო კრებამან და თითოეული ეპისკოპოსთაგანი თჳსად ქალაქად მიიქცა მშუდობით და მიიწინეს თჳსად ეკლესიად მოხარულნი თანად და მადიდებულნი ღმრთისანი. ხოლო ნეტარმან კურილე თუთცა სიხარულით აღექსანდრიად მიწვენულმან და მცირ-

ედ ჟამლა მცოცხლობამან მშუკდობით უფლისა მიერ განისუწნა თთუეს იუნისსა ცხრასა საჯსენებელად კეთილად ეკლესიასა შინა დამტევე-ბელმან მისთა თაფლმწთოლვარეთა და ღმრთივმოპერილთა სიტყუ-თა და ლუანლთა და შრომათა კეთილმსახურებისა და მართლისა სარ-წუნოებისა თვსთამან, რომლისა ლოცვათა და ოხათა მიერ ვიცვებით-მცა ყოველნივე ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა დიდე-ბაჲ და სიმტკიცე საუკუნეთა საუკუნეთაჲსა, ამინ“.

აღნიშნული „ცხოვრება“ თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს მის ბერძნულ ორიგინალს [2, 593-599].

ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შემოგვინახა ქუთაისის კოლექ-ციამაც (K3). [6, 15-24] იგი დაცულია მეტაფრასულ კრებულში (84-90), რომელიც 75 თხზულებისგან შედგება და XVI საუკუნეშია გადაწერილი. ავტორი და მთარგმნელი არც ამ შემთხვევაშია მი-თითებული. თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე გამოტოვებულ ფრა-ზასა და მცირეოდენ ორთოგრაფიულ სხვაობებს, ეს ორი ტექსტი, სათაურის ჩათვლით, ფაქტობრივად არ განსხვავდება ერთმანეთი-საგან.

ქართულ ენაზე გვაქვს კირილე ალექსანდრიელის ორი გვიან-დელი ბიოგრაფიაც. პირველი მათგანი, (Q409) [4, 412-415] შესულია კრებულში, რომელიც წმინდანთა ცხოვრებას წარმოადგენს. მინან-ერებიდან ვიგებთ, რომ იგი უთარგმნია „ლუდელ“ იოვანე მამუ-ლოვს 1845 წელს 1832 წლის სომხური ნაბეჭდი გამოცემიდან. ხელ-ნაწერში დაცულია 42 თხზულება. ჩვენთვის საინტერესო ნაწარ-მოები „მოთხრობა წ-ისა მის კირილე ალექსანდრიელისა“ (386-389) რიგით 38-ეა. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „მომიტევეთ, აღმომკითხველნო წიგნისა ამისანო, რამეთუ არა არის კარგად გან-ყობილი ქართული და რადგან ქვეყნიერთათვის იყო ესე გადაბე-ჭდილი გლეხურს ენაზედ სომხურისა, ამის გამო არა ჩავრთე მცა განგებ ღრმად ქართული, თუ ვიცოდი რამ“.

უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი მოკრძალებულად აფასებს თავის ნაშრომს. თარგმანი სავსებით დამაკმაყოფილებელია და, თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ ლაფსუსებს, არც თუ ისე ცუდად იკითხ-ება. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კირილე ალექსანდრიელის ბიოგრაფიის მეორე თარგმანზე, რომელიც ახალციხის კოლექციამ 3483-ე ნომრით შემოგვინახა [1, 108-111]. მისი მთარგმნელია მლუ-დელი „ტერ სტეფან აშოლოვი ხედრულის სომხურის ენისგ[ან]... წელსა 1838-ს“. ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებს ეწოდება „კივრ-ლი ალექსანდრიელის ცხოვრება“ (249-251).

ხელნაწერი 42 თხზულებისაგან შედგება, რომელთა თანმიმ-დევრობაც მთლიანად ემთხვევა Q407-ისას, თუ არ ჩავთვლით ერთს: „წმინდა ჭრიფსიმე და გაიანე ქალწულის ცხოვრება“. ეს

თხზულება Q407-ში ბოლოა, ახალციხე 3483-ში კი – მე-16. სავარაუდოა, რომ Q407-ის გადამწერს ის უბრალოდ გამოორჩა და ბოლოში მიამატა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ორივე მთარგმნელს ერთი და იგივე დედანი უნდა ჰქონოდა ხელთ. ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ორივე ბიოგრაფია შინაარსობრივად იდენტურია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტეფან ალოშოვის თარგმანი იმდენად გაუმართავი ქართულითაა შესრულებული, რომ ხანდახან შინაარსის გაგებაც კი ჭირს, რომ არაფერი ვთქვათ საკუთარ სახელებზე რომლებიც სომხური ფორმითაა გადმოღებული (კივრლი, გვ. 193, ბარსელი 149, პელეგეა, გვ. 261 და ა.შ.).

#### დამონმებული ლიტერატურა

1. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, მ. ქავთარიამ და ც. ჭან-კიევმა, თბ., 1987.
2. Neva Siwvn, 17, Hierosolymis, 1922.
3. საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბ., 2005.
4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I შედგენილი ელ. მეტრეველის და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957.
5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S), ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.
6. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტ. I. 1953.

Thamar Tsopurashvili

### **“The Lives” by Cyril of Alexandria in Georgian Manuscripts**

The biography of Cyril of Alexandria has always generated keen interest of many scholars, and the Georgians were no exception. There are several short biographies of Cyril of Alexandria in Georgian, one of which is preserved in Giorgi Atoneli's "Great Svinaqsari". The complete biography of Cyril of Alexandria (S 417) dating back to the 12 th century and, to all appearances, translated from the Greek language, can also be found in Georgian manuscripts. The mentioned work can be in a certain sense divided into two parts: the biography and an extensive excerpt from the Sermon XI by Cyril of Alexandria, which is supplemented to the text of biography. The same text is included in the Kutaisi collection (K 3) dating back to the 16 th century and not differing from the above-mentioned one but for several omitted phrases and orthographical differences.

Two later (19 th century) biographies of Cyril of Alexandria in Georgian were translated from Armenian and probably come from the same printed edition.